Sahakyan v. Armenia[1]

(განაცხადი N. 66256/11; 10/02/2016)

განმცხადებელი, ჰაიკ საჰაკიანი, 1983 წელს დაბადებული სომხეთის მოქალაქეა, რომელიც ცხოვრობს ერევანში. საქმე ეხება კომპენსაციის უფლებას უკანონო პატიმრობის გამო.

2007 წლის 30 აგვისტოს, ბატონი საჰაკიანი დააკავეს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით და 2007 წლის 1 სექტემბერს სასამართლომ მას შეუფარდა წინასწარი პატიმრობა. 2007 წლის 28 სექტემბერს იმავე სასამართლომ ბატონ საჰაკიანს შეუფარდა გირაო და გაათავისუფლა იგი. თუმცა, 2007 წლის 4 ოქტომბერს, 2007 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, გამომძიებელმა გადაწყვიტა გაეუქმებინა გირაო და კვლავ დააკავა ბატონი საჰაკიანი. ბატონმა საჰაკიანმა აღნიშნული ფაქტი გაასაჩივრა და 2007 წლის 22 ოქტომბერს სასამართლომ გააუქმა გამომძიებლის გადაწყვეტილება, დაადგინა რომ მან გადაამეტა საკუთარ უფლებამოსილებას და ბატონი საჰაკიანის პატიმრობა 2007 წლის 4 ოქტომბრიდან 2007 წლის 22 ოქტომბრამდე იყო არაკანონიერი. ბატონი საჰაკიანი საბოლოოდ 2007 წლის დეკემბერში გამართლდა.

2009 წლის აპრილში ბატონი საჰაკიანმა აღძრა სამოქალაქო სამართლებრივი სამართალწარმოება და მას მიენიჭა კომპენსაცია მატერიალური ზიანისათვის. მისი მოთხოვნა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რადგან სომხეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ამ სახის კომპენსაციას. 2011 წლის ივლისში, საკაცასიო საჩივარი კანონთან მიმართებაში არ დაკმაყოფილდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფის მიხედვით (კომპენსაციის მიღების უფლება), ბატონმა საჰაკიანმა შეიტანა საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ მიიღო უარი არამატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც მიადგა მას უკანონო პატიმრობის საფუძველზე, რადგან სომხეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ამ სახის კომპენსაციის უფლების არსებობას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფი. კერძოდ, აღნიშნული დებულებით, უზრუნველყოფილია კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანისთვის. ის ფაქტი, რომ

[1] იხ., http://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":["sahakyan"],"documentcollectionid2":["GRANDCHAMBER","CHAMBER"],"itemid":["001-158481"]}

ეროვნული კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული კომპენსაციის მიღების უფლება მორალური ზიანისთვის, წინააღმდეგობაში მოდიოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფის დებულებასთან. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა აპლიკანტის მიმართ კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პარაგრაფის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება: 3.000 ევრო (არამატერიალური ზიანისთვის)